პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 20 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 455 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქ ლ. ელს. № 1 – 40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

ვინ იქნება შემდეგი.

სახელმწიფოთა რიცხვს, რომელთაც იურიდიულად იცნეს საბჭოთა კავშირი მიემატა კიდევ ორი: შვეცია და ჩინეთი.

როდესაც პირველად საბჭოთა რესპუბლიკები იცნეს ინგლისმა და იტალიამ, ჩვენ მაშინ განვაცხადეთ, რომ ადრე თუ გვიან მათ მაგალითს სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოებიც გაყვებიან.

ვასაბუთებდით ჩვენ ამას იმ გარემოებით, რომ ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდიან თითქმის ყველა კაპიტალისტური ქვეყნები დღითი დღე ღრმავდება და კატასტროფისაკენ მიაქანებს მათ.

იმპერიალისტურმა ომმა სრულიად დაანგრია მსოფლიო მეურნეობის სისტემა; გამოითიშა მისგან საბჭოთა კავშირის ტერიტორია.

ამიტომ შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და მით კრიზისის გადალახვა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ, თუ კვლავ საბჭოთა კავშირთან არ იქნა აღდგენილი ნორმალური, მჭიდრო ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულებანი.

აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურად განმტკიცება და ეკონომიური აღორძინების ფაქტი გახდა მეორე მთავარ მიზეზად. ყველა ამან აიძულა ზოგიერთი (ჯერ-ჯერობით) კაპიტალისტური სახელმწიფოები ეცნათ ის იურიდიულად.

ამ ორ მიზეზებით აიხსნება აგრეთვე შვეციის მთავრობის ეს ნაბიჯი.

შვეცია განიცდის მწვავე კრიზისს ბაზრის უქონლობაში, რაც თავის მხრივ იწვევს წარმოებათა დაკეტვას და უმუშევრობას.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა შვეციის ბურჟუაზია მაინც წინააღმდეგი იყო რაიმე მოლაპარაკების გამართვისა ან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ შვეციის მთავრობის ასეთი მტრული პოლიტიკა ჩვენდამი იყო გამოწვეული საფრანგეთის მთავრობის ზეგავლენით.

დღეს კი შვეციის ბურჟუაზია დარწმუნდა თავის ქინიანობის უნაყოფობაში და არამც თუ სავაჭრო ხელშეკრულება დასდო ჩვენთან, არამედ უფრო მეტი, იურიდიულად გვიცნო.

აღსანიშნავია ის რომ, საფრანგეთის ბურჟუაზია ამ ბოლო ხანებში დიდის გაფთრებით ეწევა ანტი საბჭოთა კამპანიას. მას უნდა ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის ცნობას.

როგორც რადიო გადმოგვცემს საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტებმა მუქარითაც კი მიმართეს ჩინეთის მთავრობას, რათა მათ არ იცნან საბჭოთა ქვეყნები.

მაგრამ მიუხედაად საფრანგეთის რისხვასა, ჩინეთის მთავრობამ მაინც იცნო საბჭოთა კავშირი. რადგან ის დარწმუნდა, რომ ერთად ერთი სახელმწიფო, რომელიც მართლადაც მშვიდობიანობის და ზავის ქეშმარიტი გამტარებელია ცხოვრებაში—არის საბჭოთა ფედერაცია. მთელი რიგი მაგალითებით დაუმტკიცა საბჭოთა ხელისუფლებამ ეს მას.

ჩინეთის მთავრობის ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დასავლეთთან ერთად აღმოსავლეთიც იწყებს ჩვენთან კეთილ-მეზობლურ ცხოვრებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის მაგალითი დააჩქარებს იაპონიის მიერ საბჭოთა ქვეყნების დე-იურედ ცნობას.

ასე ამ რიგად დღითი დღე მატულობს რიცხვი იმ სახელმწიფოებისა, რომელთაც გვიცნეს იურიდიულად.

რაც უნდა ბევრი არ იხტუნოს საფრანგეთის ბურჟუაზიამ, ის ითის ოდენასაც ხელს ვერ შეუშლის ცნობის გაგრძელებას.

დადგება დრო, (და ის შორს არ არის) როდესაც თვითონ მოვა ცნობით ჩვენთან.

რადიო-დეპეშები

- საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის ელჩები მუქარის ქვეშ მოითხოვენ ჩინეთის მთავრობისაგან, რათა უკანასკნელმა არ დაამტკიცოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

— კულიჯმა წინადადება შეიტანა—მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რათა შეწყვეტილ იქნას წყალქვეშა ნავების კეთება.

— საფრანგეთში გაიფიცა ათი ათასამდე მეღითონე—მუშა.

— კალკუტტაში პოლიციამ აღმოაჩინა „ბომბების“ ფაბრიკა. დააპატიმრეს ინგლისის ერთი ყოფილი მოხელე.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

მტკიცე, საქმიან ურთიერთობის წინ.

შვეციის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა სავაჭრო ხელშეკრულების, საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის და დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის საჩქაროდ აღდგენის შესახებ.

პრესის წარმომადგენელთან საუბარში, შვეციის დელეგაციის თავმჯდომარე ტენგრენი კმაყოფილებით აღნიშნავს მიღწეულ შედეგებს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსინსკიმ პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ დღეს ჩაეყარა საფუძველი ეკონომიურ ურთიერთობის საქმეს ამ ორ ქვეყნებს შორის.

მოლაპარაკების ნელმა მსვლელობამ და მისმა სიძნელემ გადააჩვია საბჭოთა რუსეთი დაკვეთების გადაცემიდან შვეციაზე. დღეს საბჭოთა კავშირი კვლავ განაახლებს საქმიან ურთიერთობას შვეციასთან.

ცნობის პერსპექტივები.

საუბარი შვეციის დელეგაციის მეთაურთან.

შვეციასთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ შვეციის სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა მოსკოვში]გვიდენშტამმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა, როგორც ერთად ერთ სუვერენული ხელისუფლებისა მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, შედეგია ექვსი თვის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკებისა.

სავაჭრო მოლაპარაკების დადებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიურ ურთიერთობას. შვეციას აქვს განვითარებული, უაღრესად კვალიფიციური ურთიერთობა. შვეციის ნაწარმოებიდან პირველ რიგში საბჭოთა კავშირს მიეცემა სასოფლო მეურნეობის მანქანები, იარაღები და ლოკომობილები.

შვეციას სჭირდება რუსეთის პური, ნავთი, მაზუთი, ბამბა და კანაფი. შვეცია სიამოვნებით იყიდის რუსეთის პურს, რომელიც ყველაზე უკეთესი ხარისხისაა და უფრო იაფია, ვიდრე ამერიკის. გასულ წელს საბჭოთა კავშირის პური კონკურენციას უწევდა ამერიკის პურს სკანდინავიის ბაზარზე.

მოსკოვში ელჩის დანიშვნის საკითხი გადაჭრილ იქნება ახლო მომავალში.

ყინული დაიძრა.

„ეკო-ნაციონალ“-ის ცნობით, პუანკარე, როგორც სჩანს, დაეთანხმება დე-მონზის რჩევას იცნოს საბჭოთა კავშირი.

რუსეთის ემიგრანტები ღელავენ

ემიგრანტები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ. მილიუკოვი გაზეთ „ეკლერში მოითხოვს, რათა საფრანგეთმა დაიცვას დღევანდელი პოზიცია, მსგავსად ამერიკისა“.

ვინ ვის დაასწრებს.

ბელგია და ჰოლანდია იჩქარიან საბჭოთა კავშირის ცნობას.

ბელგიაში აღელვებული არიან იმ ცნობით, რომ ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება ჰოლანდიისა და საბჭოთა კავშირს შორის. ანტვერპენის სამრეწველო გაზეთი „ნეპტუნ“ შიშობს, რომ ანტვერპენის ადგილს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში დაიკავებს როტტერდამი, და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას.

იმპერიალისტური ქვეყნების საქმიანობა.

საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის ელჩები მუქარის ქვეშ მოითხოვენ ჩინეთის მთავრობისაგან, რათა უკანასკნელმა უარი სთქვას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის საკითხის დამტკიცებაზე. პროფესორები, სტუდენტები და ხალხის ფართე მასები აგროვებენ ძალებს იმპერიალისტების ძალადობის საწინააღმდეგოთ.

კოოპერატივების შეჯიბრება ჩვენს ნაწილებში.

კოოპერატიულ აღმშენებლობას საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას აძლევს, როგორც მუშებისათვის და გლეხებისათვის მიმწოდებელ ორგანოს. ჩვენი კოოპერაცია ბევრათ განსხვავდება ბურჟუაზიულ ტიპის კოოპერაციებიდან. ჩვენს კოოპერაციაში წევრათ ვერ შევა რომელიმე სპეკულიანტი—ვაჭარი და სხვა ჯურის უსაქმო ხალხი, რომლებსაც კომბინაციებით გააქვთ კიდევ თავი და კიდევ ახერხებენ მუშების და გლეხების ანგარიშზედ ცხოვრებას. მაგრამ ჩვენი მთავრობა მოიცლის მათთვის და სამუდამოდ მოსპობს ამ მუქთა მჭამელთა ხროვას.

ჩვენი კოოპერაციის შემადგენლობაში შედიან მუშები და ისინი ვინც პროფესიონ. კავშირის წევრია ან და ჩაწერილია შრომის ბირჟაში. სოფლის კოოპერაციაში კი შედიან წევრათ ყველა მშრომელი გლეხობა.

ასეთივე კოოპერაცია არსებობს, როგორც ვიცით, ჩვენს ქ. დივიზიაში, რომელსაც აქვს რამოდენიმე განყოფილება თბილისში, ქუთაისში და ბათომში. მას განყოფილებები აქვს აგრეთვე გახსნილი ყველა ნაწილებში. ჩვენ ვიცით, რასაკვირველია, კოოპერატივის დანიშნულება და მისი სამსახური მომხმარებლებისადმი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კოოპერატივის დანიშნულებაა აგრეთვე საქმის რიგზედ დაყენება და მისი ხელმძღვანელობა ამა თუ იმ ნაწილში.

თუ რაში გამოიხატება საქმის დაყენება ამაზედ მოკლეთ ვიტყვით.

უპირველესად ყოვლისა, როდესაც ამა თუ იმ ნაწილში გახსნილია ან უნდა გახსნან კოოპერატივი უსათუოდ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი მყიდველები ეყოლება კოოპერატივს და ამის და მიხედვით უნდა მოამზადოს ისეთი საქონელი, რომელიც საჭირო იქნება მომხმარებლებისათვის და არამც და არამც არ უნდა მოიტანოს ისეთი საქონელი, რომელიც დიდ ხანს დარჩება კოოპერატივში. მაგალითისათვის დავისახელებთ. აბა როგორი კოოპერატორი იქნება ის, რომელიც ნაწილში მოიტანს ყუთობით კვერცხებს, კარაქს, კარტოფილს, ბრინჯს, დაფნის ფურცელს და სხვა. ამ აღნიშნული საქონელის ანუ პროდუქტების მოთხოვნილება ნაწილებში თითქმის არ არის. წ. მოლაშქრე მას არ შეიძენს, ასეთი საგნები უფრო ესაჭიროება ნაწილის მუდმივ შემადგენლობას, მას კი შეუძლია ყველა ესენი შეიძინოს ცენტრალურ სავაჭროში. ამიტომ ამ საქმეს, რომ უფრო გამოცოცხლება დაეტყოს და ყველა ნაწილებმა დაამტკიცოს თავიანთი ინტენსიური მუშაობა კოოპერაციის საქმეში, „ევკოგრუზმა“ დანიშნა შეჯიბრება ქ. დ. ნაწილებში არსებულ კოოპერატივების. ამ შეჯიბრების ჩატარების შემდეგ ჯილდოს მიიღებს ის ნაწილი, რომელსაც უფრო კარგათ ექნება დაყენებული თავის ნაწილში კოოპერაციის საქმე. შეჯიბრების ჯილდო გაიღო „ცეკავშირმა“ და „ევკოგრუზმა“ და შემდგარია კომისია, რომელიც ამ თვეში დააბოლავებს ამ საქმეს. ასეთი შეჯიბრება კოოპერაციის ისტორიამ არ იცის და მე დარწმუნებული ვარ ჩვენი „ევკოს“ პირველი შეჯიბრებითი ნაბიჯი სასურველ ნაყოფს გამოიღებს და უფრო დააინტერესებს ნაწილების ხელმძღვანელებს მეტი ენერგია დახარჯონ ამ ფრიად მნიშვნელოვან ორგანიზაციის შექმნაში. შეიძლება რომელიმე ნაწილებში სუსტობდენ. ჩვენი კოოპერატივები, მაგრამ ხელმძღვანელებს გული ნუ გაუტყდებათ, რომ შეჯიბრების ჯილდო ვერ მიიღონ. ასეთს შეჯიბრებას ხშირად მოვაწყობთ და ეცადონ ყველა ნაწილების ხელმძღვანელებმა ააყვავონ თავიანთი კოოპერატივები, რომლის იდეააა გააქროს კერძო წარმოება და ხელი შეუწყოს სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარებას.

ს. ლ.

მოულოდნელი დაბრკოლება.

14 მარტს, ჩინეთის მთავრობის დელეგატმა ვანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, საბჭოთა კავშირთა და ჩინეთს შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

იმავე დღეს კარახანსა და ვანს ხელი უნდა მოეწერათ დამატებით კალიგრაფიით გადაწერილ საბუთებზე. მაგრამ, ვანის მიერ ხელის მოწერის შემდეგ, ჩინეთის მთავრობამ დაადგინა არ დაამტკიცოს მისი ხელის მოწერა.

ამის გამო კარახანმა ჩააბარა ვანს ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ ის მზათაა დაუცადოს კიდევ ხელის მოწერის დამტკიცებას სამი დღე, ხოლო სამი დღის შემდეგ ის არ ჩასთვლის თავს შებოჭილად ამ საქმეში.

კარახანი აბრალებს ჩინეთის მთავრობას მოლაპარაკების შეწყვეტას და შეთანხმების ჩაშლას და აკისრებს მას პასუხისგებას ყოველ შედეგებში, როგორიც კი მოყვება ამ საქმეს.

ვიატკის მუშების პროტესტი.

„მოპრ"-ის წევრ მუშათა ათასიან კრებამ, რომელიც გაიმართა პარიზის კომუნართა სახსოვრად, პროტესტი განაცხადა საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის ბურჟუაზიის ცდების წინააღმდეგ—ჩინეთის და საბჭოთა კავშირის საქმეში ჩარევისათვის. კრება მოუწოდებს ჩინეთის პროლეტარიატს ალაგმონ ალვირ ახსნილი იმპერიალისტები.

საბჭოთა კავშირი

პარიზის კომუნის დღესასწაული.

ამხ. რაკოვსკის მოხსენება.

პარიზის და მოსკოვის კომუნები.

ლენინის პარტიის წვეულთა კრებაზე ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, პარიზის კომუნა პირველი ცდაა მუშათა მთავრობის და რევოლიუციონური დიქტატურის. ცდები დამარცხდა. პარიზის კომუნა დაიღუპა იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო წინააღმდეგობის მოსპობა ქალაქსა და სოფელს, პროლეტარსა და გლეხს შორის. მაგრამ სამი თვის არსებობით პარიზის კომუნამ ჩვენ მოგვცა ის პროგრამა, რომელიც ჩვენ დღეს განვავითარეთ და ვატარებთ ცხოვრებაში. საბჭოთა მთავრობა თავის პოლიტიკით ატარებს პარიზის კომუნის იდეებს, შედარებით უკეთეს პირობებში, ვინაიდან კაპიტალიზმი დაეტაკა მთელ რიგ წინააღმდეგობებს და უღონოა გაუმკლავდეს თავის მტრებს.

საბჭოთა კავშირი არ არის ისეთი განმხოლოებული მთავრობა, როგორც პარიზის კომუნა. ჩვენ უკვე გვიცნენ ინგლისმა, იტალიამ, ნორვეგიამ, შვეციამ საბერძნეთმა და სხვა.

მაისის არჩევნების შემდეგ საფრანგეთში და ნოემბრის—ამერიკაში საბჭოთა კავშირი ცნობილი იქნება ამ სახელმწიფოების მიერ. ცნობა მიდის ყოველგვარ ვალდებულების გარეშე ჩვენს მხრივ, რაც მიეწერება ჩვენი მუშათა კლასის გამძლეობას და ჩვენი მთავრობის მტკიცე პოლიტიკას.

სახელმწიფოებმა, რომლებმაც გვიცნეს ჩვენ, ლეგალიზაცია უყვეს ჩვენს პოლიტიკას და გაუღეს კარები ჩვენი კანონმდებლობის სულს.

ჩვენ გავხდით აქტიური მონაწილენი საერთაშორისო პოლიტიკაში და მოგვეცა საშვალება შეგვეცვალა მთელი რიგი ჩვენთვის არა ხელ საყრელ პირობათა.

ჩვენი ცნობა უცხო სახელმწიფოების მიერ წარმოადგენს გამოსავალ წერტილს ჩვენი შინაური მეურნეობის განმტკიცებისათვის.

შეეხო რა ცნობის პერსპექტივებსა და შედეგებს ამხ. რაკოვსკიმ მიუთითა, რომ ჩვენ უსათუოდ ვეცდებით მივიღოთ საჭირო კრედიტი და სესხი. ჩვენი ხაზია—არ მივიღოთ საქონლის კრედიტი, თუ მას არ მოყვება ფულისაც, და მივიღოთ იაფი საკონცესიო კაპიტალი.

„ჩვენი გამარჯვება დამოკიდებულია ჩვენ საშინაო მდგომარეობაზე. ფულის რეფორმის წარმატებითი ჩატარება განსაკუთრებით დაეტყობა ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას და განამტკიცებს უცხოეთში საბჭოთა უფლებას".

მუშა ქალებს არ უნდათ სამკაულები.

მუშა ქალებმა უპარტიოთა კონფერენციაზე ერთხმად დაადგინეს ჩააბარონ „მოპრ"-ს ოქროს და ვერცხლის ნივთები.

ებრაელთა კომპარტიის ცეკას შუამდგომლობა.

ებრაელთა კომპარტიის ცეკამ—„პხალეი ციონ"—მიმართა „მოპრ"-ის ცეკას თხოვნით, რათა ყველა პარტიის წევრები ჩარიცხონ „მოპრ"-ის წევრებად.

„ძირს ბოიკოტისტ—ხაბოტაჟნიკები".

პეკინის მთავრობის აუარის გამო—დაამტკიცოს თავისი წარმომადგენლის—ვანის ხელის მოწერა რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულების შესახებ, ამხ. სტეკლოვი ხსენებულ სათაურით გაზეთ იზვესტიაში ათავსებს წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ ფორმალურის მხრივ პეკინის მთავრობის ქცევა არ არის გასამართლებელი, ვინაიდან ვანი იყო მისი ოფიციალური წარმომადგენელი და ერთად-ერთი რწმუნებული.

მაგრამ ეს საქციელი გასაგები ხდება, საცა მოვიგონებთ იმ იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომლებიც სთვლიან ამ ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას დამარცხებად თავისი მტაცებლური პოლიტიკის. ჩინეთის და სსრკ-ს ხალხის მეგობრობა შეასუსტებს იმპერიალისტური ქვეყნების პოზიციას ჩინეთში. აი რატომ აიძულებენ საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის მთავრობები ჩინეთის მთავრობას, რათა არ შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირის მთავრობას.

მაგრამ, ჩინეთის ხალხის ფართე მასები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკაში ხედავენ თავის ერთგულ და უმწიკვლო მეგობარს, ნებას არ მისცემს ჩაშლის შეთანხმება, რომელიც უქადის ჩინეთს დიდ სარგებლობას.

საქ. კათალიკოსის ამბროსის და სხვა მის თანამშრომელ ხუცების გასამართლება.

16 მარტის სხდომის გაგრძელება.

პროკურორი მაჭავარიანის შემდეგ ვრცელი საბრალმდებლო სიტყვით გამოდის სახელმწიფო პროკურორი ამხ. ნ.კ. ოკუჯავა.

ამხ. ოკუჯავას სიტყვა.

პატივცემულო მოსამართლენო! ყველა ის ბრალდებანი იმ გამონაკლისით, რომელიც აქ მოგახსენათ ჩემს წინ მოლაპარაკე ბრალმდებელმა, უნდა ჩაითვალოს დამტკიცებულათ. ვისთვისაა საიდუმლოებს დღეს, რომ მემორანდუმს მიზნათ ჰქონდა საქ. მშრომელი ხალხი გაეხვია სისხლის ღვარში, ამბობენ, რომ ეს აქტი იყო მხოლოთ საეკლესიო მნიშვნელობისო. სიმართლეა ეს თუ არა? აღსანიშნავია, რომ ჩვენებები ისე იყო არეული როგორც კალეიდესკოპში ფერები, რომ მემორანდუმს ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა ეს დამტკიცდა მოწამეთა ჩვენებითაც ესა სთქვეს აქ თითქმის ყველა მოწმეებმაც. გადავიდეთ თვით მემორანდუმზე. ლოიდ ჯორჯს ან პუანკარეს, რომ გაეგო ის ამბავი, რომ მემორანდუმი არ იყო პოლიტიკური მნიშვნელობის აქტიო, გაიცინებდნენ. ჯარის გაყვანის მოთხოვნა, წესწყობილების შეცვლის სურვილები ეს ნამდვილი პოლიტიკაა. მერე როდის არის დაწერილი ეს მემორანდუმი, ანუ მიმართვა, როგორც აქ ამბობენ.

ევროპაში დაიბურდა პოლიტიკური მდგომარეობა, იქ ფრონტებზე ჯარებს აგზავნიდნენ, ჩვენ მტრებს ყუმბარებს აწვდიდნენ. აქ საქართველოში შეიქნა პარიტეტული კომიტეტი, ველათ გაიჭრა ჩოლოყაშვილი თავის ბანდით, და ამ დროს ამოძრავდა ჩვენი სამღვდელოებაც. მან მემორანდუმით მიმართა გენუას კონფერენციას და მოითხოვეს მოგვაშორეთ ბოლშევიკებიო. განა ასეთი ნაბიჯის გადადგმას ამბროსი დამოუკიდებლათ გაბედავდა? რა თქმა უნდა ვერა.

ბრალმდებელი ოკუჯავა შემდეგ განაგრძობს, რომ გამოძიებამ ნათლათ დაამტკიცა საკათალიკოსო საბჭოს დანაშაული ამ დარგში. ამიტომ მისი აზრით უნდა დაისაჯოს მთელი საბჭოს შემადგენლობა იმიტომ, რომ მათ განგებ გაავრცელეს ცრუ ხმები მემორანდუმის საშუალებით.

ჩერდება აგრეთვე სამხ. ტაძრის გადაცემის საქმეზე და დაწვრილებით განმარტავს ყველა ბრალდების საფუძვლიანობას. დასასრულ იგი სთხოვს სასამართლოს, რომ ჰუმანიურ იდეამ იგი ძლიერ შორს არ გაიტაცოს და გამოიტანოს ღირსეული სასჯელი, რომელიც დააკმაყოფილებს და დაამშვიდებს ხალხის აღელვებულ სინიდისს.

ამხ. ოკუჯავას შემდეგ ლაპარაკობს საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. ერქომაიშვილი.

ერქომაიშვილის სიტყვა.

სასამართლოს წევრნო! აქ დამცველთა მხრივ, თქვენ ბევრს რასმეს მოისმენთ იმის შესახებ თუ რა არის კანონი, რა არის სამართლიანობა, სიმართლე და სხვა. მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ „სიმართლე" ყოველთვის განყენებული ცნება იყო და არის. ის რაც ჩვენთვის სიმართლეა, ჩვენი მტრებისთვის არაა სიმართლე, ის რაც ჩვენის თვალსაზრისით სამართლიანია, მათთვის უსამართლოა და სხვა... სიმართლეს ყოველთვის ისე იწყებდნენ, როგორც სურდათ. ჩვენი სასამართლო არის კლასიური სასამართლო. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა უარყოთ ჩვენს მიერვე დაწერილი კანონები.—არა! მაგრამ ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ იმ ლოღიკით, რომლითაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ხელმძღვანელობენ. მაგათ აქვთ თავისი, განსაკუთრებული, ხუცური ლოღიკა! მაგათი ლოღიკით ღმერთი, რასაკვირველია, არსებობს. რაც ხდება, ყველაფერი ღვთის განგებით ხდება მათი რწმენით. თუმცა აქ ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან: მაშ, წითელი ჯარი, რომ შემოსულა და საქართველო გასაბჭოებულა ეს ღვთის განგება იყო (სიცილი), ეს ღმერთის ნება ყოფილა და ისინი, რას გააწყობენ ღვთის წინააღმდეგ (დარბაზში სიცილი). ეხლა გადავალ არსებითად ბრალდებებზე მაგრამ საჭიროა მოკლეთ შევჩერდე თითონ მაგათ სარწმუნოებაზე და გამოვაშკარავო თუ რა არის ქრისტიანობა არსებითად. ქრისტემ სთქვა: მე მშვიდობისათვის კი არ მოვსულვარ ამ ქვეყანათ მოველ ბრძოლისათვისო და მოვიტანე ხმალიო. გაყიდე ტანის სამოსელი და იყიდე ხმალიო. ეს სიმბოლიურათ ბრძოლისაკენ მოწოდებაა. ვის არ ესმის ეს?—ყველას. ვის იცავდა ქრისტე?—ღარიბებს. საწინააღმდეგოს ვერავინ დაამტკიცებს. მისმა მოადგილე სამღვდელოებამ კი უღალატა სწორეთ ქრისტეს მცნებას და გადავიდა ღარიბების მაგივრათ მდიდრების მხარეზე.

ამხ. ერქომაიშვილი შემდეგ ვრცლათ ჩერდება ყოველ ბრალდებაზე. განსაკუთრებით დიდი დრო მოანდომა მან მემორანდუმის გარჩევას. მთელი მემორანდუმი გაყო 18 მუხლათ და თვითეულ მუხლზე მისცა საჭირო განმარტება. მან დაამტკიცა, რომ მემორანდუმის გაგზავნა იყო, სხვათა შორის დიდი პროვოკაცია სამღვდელოების მხრივ.

იგი განაგრძობს: მუშათა კლასი უნდა იქნეს, პატივცემულო მოსამართლენო, თქვენის დადგენილებით დაკმაყოფილებული. იმ იმედით, რომ მისცემთ საქ. მშრომელ ხალხს საშუალებას მშვიდათ განაგრძოს თავის საქმე და გამოიტანთ სამისოთ შესაფერ გადაწყვეტილებას, მე ვათავებ ჩემს სიტყვას.

დამცველების გამოსვლა.

საბრალმდებლო ნაწილის სიტყვების შემდეგ სხდომა შესწყდა რამოდენიმე წუთით. სხდომის განახლების შემდეგ სასამართლო სიტყვას აძლევს დამცველ კ. ნინიძეს.

ნინიძის სიტყვა.

იგი აღნიშნავს თუ რამდენათ მძიმე და რთულია დამცველის მოვალეობა საზოგადოთ და კერძოთ ამ შემთხვევაში.

ამ აბობოქრებულ ხალხს, რომელიც სულით ხორცამდე აღშფოთებულია „სოციალისტის" ამგვარი საქციელით, იგი არწმუნებს სასამართლოს საშუალებით, რომ ამ შემთხვევაში იგი სრულებით არ ფიქრობს საზოგადოთ სამღვდელოების დაცვას, არამედ იცავს ბრალდებულთ, როგორც პიროვნებებს და ადამიანებს ყველა საკითხებში ეკამათება.

განსაკუთრებით ბევრს ჩერდება იგი ერქომაიშვილის სიტყვის იმ ადგილზე, სადაც მას ლაპარაკი ჰქონდა ქრისტიანობაზე და სახარებაზე. ეტყობა ნინიძეს კარგათ სცოდნია სახარება.

დამცველი განაგრძობს, რომ არავინ და თვით ამბროსიც არ უარყობს თავისი მემორანდუმის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ისე, რომ მისი აზრით ამ მხრივ პროკურორების მტკიცება მხოლოთ ღია კარებში შევარდნასა ჰგავს. მისი აზრით ამბროსის მთელი წარსული არის ბრძოლის და ტანჯვის ისტორია სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული.

დასასრულ იგი მოუწოდებს სასამართლოს, რომ ისეთ საქმეს ნუ გააკეთებენ თავისი განაჩენით, რომ შთამომავლობამ მოგიხსენიოთ როგორც არა მიუდგომელი მკაცრი მოსამართლენი. გამოიტანეთ ისეთი განაჩენი, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებიც კი დარწმუნდნენ პროლეტარიატის სამსჯავროს ჰუმანიურობაში.

ნინიძის შემდეგ ლაპარაკობს დამცველი ბარათაშვილი.

რა სთქვა ბარათაშვილმა.

მან თავის სიტყვა იმით დაიწყო, რომ ჩვენი სასამართლო ახალი სასამართლოა და მას მაინც და მაინც დიდი პრაქტიკა არა აქვს ყოველი სასამართლო უნდა იყოს ობიექტიური და მიუდგომელი. ესაა მიზანი სასამართლოსი, საბჭოთა ხელის უფლების მიერ გამოცემული კანონები არა სჯიან დამნაშავეებს მხოლოთ სურვილებისათვის. რადგანაც კათალიკოს ამბროსის არავითარი რეალური ზარალი არ მოუტანია სახელმწიფოსათვის, ამიტომ იგი საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით უნდა იყოს განთავისუფლებული.

შემდეგ იგი დაწვრილებით ეხება ყველა ბრალდებებს და ამბობს, რომ მისი აზრით ეს ბრალდებები არ შეესაბამებიან სინამდვილეს.

16 მარტის სხდომა დასრულდა ღამის 2 საათზე.

17 მარტის სხდომა.

საღამოს სხდომაზე გრძელდება დამცველების სიტყვები.

გამოდის მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავას) დამცველი კუნცაძე. იგიც სცდილობს გააქარწყლოს ბრალმდებელთა დებულებები და თავის სიტყვის დასასრულში სთხოვს სასამართლოს მიიღოს მხედველობაში ყოველგვარი გარემოება და გაამართლოს სხვებთან ერთად მისი რწმუნებული ლეჟავაც.

ს. დადიანი გამოსვლა.

გამოდის დამცველი დადიანი. ყველამ იცის რომ იგი ენა წყლიანი კაცია, დაიწყო დიდის პათოსით. თქვენ კომუნისტებიო, სთქვა მან, იცავთ აღმოსავლეთის, ნახევრათ ველურ ხალხის ინტერესებს. თქვენ იცავთ შავკანიანებს, წითელ კანიანებს და იმათაც, ვისაც ტანსაცმელი სრულიადაც არ აქვს. განა ასეთი ხელისუფლების სასამართლომ, როგორიც საბ. ხელისუფლებაა, ყურადღება უნდა მიაქციოს იმას რომ დამნაშავეებს აცვიათ ანაფორა? ყოვლათ შეუძლებელია, პატივცემულო მოსამართლენო და ამას ალბათ ექნება ადგილი, რომ თქვენ მიუხედავათ მათი უდანაშაულობისა ისინი დასაჯოთ მაინც მხოლოდ ანაფორის ტარებისათვის.

როგორც იგი, ისე სხვებიც შემდეგ განაგრძობენ ყველა ბრალდებების უარყოფას. შუამდგომლობენ ამა თუ იმ მუხლის შეცვლაზე მეორე მუხლით და იმოწმებენ ცნობილ იურისტების და მეცნიერების აზრებს.

დადიანს ხშირად აწყვეტინებენ თავის სიტყვას, ძახილით „ძირს დადიანიო".

ვრცლად ლაპარაკობს აგრეთვე დამცველი პ. ქავთარაძე. იგი იცავს არქიმანდრიტ ჯაფარიძეს.

გამოდის აგრეთვე დამცველი მღვდელიშვილი. იგი იცავს მერიანაშვილს.

შემდეგ ლაპარაკობენ ყანჩელი და გელაზირაშვილი.

სასამართლოს თავმჯდომარე დამცველთა სიტყვის შემდეგ წინადადებას აძლევს პროკურატურას, რომ მათ შეუძლიანთ ისარგებლონ სიტყვის უფლებით.

კამათის დასასრული.

საბრალმდებლო ნაწილი უარს ამბობს რეპლიკებზე.

ამის გამო დამცველების სახელით ბარათაშვილი აცხადებს, რომ რადგანაც პროკურატურამ არ განაცხადა სურვილი ლაპარაკის, მათ არაფერი დარჩენიათ სათქმელი.

ამნაირად კამათი დასრულდა და საბოლოო სიტყვა მიეცა ბრალდებულ ამბროსის (ხელაიას).

ამბროსის სიტყვას მოვიყვანთ ხვალის ნომერში.

ეროვნული

ჩვენი წითელი ჯარი

ახალწვეულთა შესახებ.

ამ მოკლე ხანში მოხდება უვადო შვებულებაში დათხოვნა 1901 წ. დაბადებულ წით. ლაშქრელების, რომლებმაც კეთილ სინდისიერათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

მენშევიკების ბატონობამ საქართველოში ნაშთად დაგვიტოვა დასნეულებული საზოგადოება, რომლითაც შეპყრობილი იყო აგრეთვე ჩვენი ახალი თაობაც. სამი წლის განმამავლობაში მათ ვერ შესძლეს შექმნა ნამდვილი რეგულიარული ჯარის და არც შეიძლებოდა შექმნილიყო, ვინაიდგან მას ქონდა თავისი გამამართლებელი ობექტიური პირობები.

ამიტომ ჩვენ მივიღეთ ძველი მენშევიკური ჯარის დეზერტირობა და ზნე დაცემულობა. ქართული დივიზიის უფ და პოლიტ შემადგენლობის ენერგიული დ დაუღალავი მუშაობის საშვალებით ჩვენ შევსძელით ორგანიზაციულათ ჩამოგვეყალიბებია ჩვენი წით. დივიზია.

დღეს ჩვენ ვუშვებთ ძველ წვეულებს და ახალი ძალებით ვავსებთ რიგებს. ამ დროს, როდესაც გვიხდება ახალი ძალების შემოერთება დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ძალთა განაწილებას. ამას აქვს თავისი დადებითი მნიშვნელობა, როგორც სამწყობრო აგრეთვე, უმეტესათ კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში.

მე ვამბობ, დიდი მნიშვნელობა აქვს მეთქი, ვინაიდან კულტ-პოლიტ განმანათლებელ მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს წით. ლაშქრელთა საერთო განვითარების დონეს. ამიტომ უნდა მიექცეს ყურადღება ახალწვეულთა განაწილებას უმთავრესათ მსხვილ ნაწილებში (ლეგიონი, არტდივიზიონი და სხვა) ასეულთა და თანაბარ ერთეულებს შორის. სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსულნი ახალწვეულები არ სდგანან ერთნაირ განვითარების დონეზე. ამიტომ უნდა მიაქციონ ნაწილების მომუშავეებმა ყურადღება, რომ ერთი და იგივე კუთხის ახალწვეულები არ მოხდენ ერთ რომელიმე ასეულში (როგორც ამას ადგილი ქონდა წარსულ წელს). მეორე; მოსული ახალწვეულ პარტ-ამხანაგები დაუყონებლივ უნდა იქნან გამოცდილი, აყვანილი აღრიცხვაზე და განვითარების თანახმად დანაწილებული ერთეულთა შორის, რაიც პოლიტ მომუშავეებს ფრიად გაუადვილებს მათ მძიმე მუშაობას.

გ. კაკაურიძე.

წითელი მხედრის სალამი უნდა დაფასდეს.

ხშირათ ყოფილა შემთხვევა, რომ ამხ. შენგელიას 1-ლი ლეგიონის თავს შეხვედრია წითელი მოლაშქრე მხედრული ღიმილით წითელი მეთაურისადმი და სიყვარულით მიუცია სალამი მისთვის, მაგრამ მას შებლვერით შეუხედავს წითელ-არმიელისათვის და სრულებით ყურადღება არ მიუქცევია, მიუხედავათ იმისა რომ ამხ. შენგელიას ის შეუმჩნევია.

ხშირად წითელ-არმიელს შემოუჩივლია, რომ „ჩვენ როგორ უნდა დაგვაფასოს წითელ მეთაურმა, თუ ის ჩვენს სალამს არაფრათ აგდებს“. სრულიათ სამართლიანია წითელ-არმიელის განცხადება.

წითელ-არმიელი, როდესაც ყაზარმის გარეთ არის, შეხვდება მეთაურს და სალამს მისცემს, მეთაური ვალდებულია პასუხი გასცეს..

ყოვლათ დაუშვებელი და მიუღებელია თანამედროვე წყობილებას დროს წითელ მეთაურმა დაუშვას ისეთი რამ რომელიც აგონებს, წითელ მხედრის ძველ დროის ოფიცრის სიამაყეს.

ნუ თუ ჯერაც ვერ შეუგნია ამხ. ალექსანდრე შენგელიას ის რომ წითელი არმიელის სალამი ყველაზე უფრო ძვირფასი და დასაფასებელია და თუ ვერ შეუგნია დრო არის შეიგნოს და შემდეგში ასეთი არ განიმეოროს.

ლ. ტ—ლი.

საზეიმო სხდომა შეფთან.

უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლა ორგანიზაციულად მიმაგრებულია ცეკავშირთან. რადგანაც ჩვენს ნაწილში ჯერჯერობით კურსანტების რიცხვი ძალიან მცირეა, ყოველგვარი კომპანიის ჩატარება გვიხდება ზემო აღნიშნულ დაწესებულებასთან ერთათ. 12 მარტს შესდგა შეერთებული კრება ცეკავშირის თანამშრომელ მუშების და წითელ არმიელების თებერვლის რევოლიუციის შვიდი წლის თავის აღსანიშნავათ. მოხსენებას აკეთებს ამხ. ელისაბედაშვილი, რომელმაც გააცნო კრებას თებერვლის რევოლიუციის მნიშვნელობა, აგრეთვე მიუთითა 1905 წ. რევოლიუციას და მისი დამარცხების შედეგებს. კონკრეტიულათ შეეხო 1914 წლის იმპერიალისტურ ომს. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ოქტომბრის გადატრიალებაზე და მის მნიშვნელობაზე მსოფლიო მშრომელებისათვის. ის შეეხო აგრეთვე, ჩვენი სასიქადულო რევოლიუციის ბელადის, ილიჩის თავდადებულ მუშაობას და მის დიდ დამსახურებას მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს

მოხსენების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, წარმოდგენილი იქმნა ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ბუტიაობა“, ამას მოყვა ცეკვა, რომელშიაც ჩვენი წითელ არმიელებიც ღებულობდენ მონაწილეობას. არა ერთხელ წამოვსულვართ ჩვენ პატივ ნაცემი ჩვენი შეფისაგან. ასეთი ნასიამოვნები, და იმედი გვაქ არც აწი მოგვაკლებს ასეთებს. ჩვენ ყველა კურსანტები ულრმეს მადლობას უძღვნით ჩვენ მამობილს, ჩვენდამი ასეთი ყურადღების და პატივისცემისათვის.

დ. ჰანკვეტაძე.

1-ლი ლეგიონი.

10 მარტს პარტშკოლის კურსანტების ძალებით ჩვენს კლუბში დადგმულ იქნა ერთ მოქმედებიანი პიესა „მამის მკვლელი“ პიესის დადგმას ხელმძღვანელობდა ამხ. ხუციშვილი, დარბაზი სავსეა წითელ არმიელებით უფ და პოლიტშემადგენლობით.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ მოხდა გასამართლება. საბრალმდებლო სკამზე ზის მამის მკვლელი, კომპარტიის წევრი, ოცი წლის სტუდენტი, რომელმაც მოჰკლა მამა კომუნისტური პარტიის დავალებით. საბრალმდებლო ოქმს კითხულობს ამხ. ანდღულაძე. პირველად სიტყვა ეძლევა ოფიციალურ დამცველს ამხ. ლეჟავას, რომელიც ახასიათებს მამის მკვლელის მოღვაწეობას კომუნისტურ პარტიაში. შემდეგ სიტყვა ეძლევა მეორე დამცველს ამხ. კოხრეიძეს.

სანამ ბრალმდებლები გამოვიდოდენ, სიტყვას იღებს ამხ. გ. სიხარულიძე, რომელიც ამბობს: ამხანაგებო ჩვენ დავინახეთ, რომ ალექსანდრემ მოჰკლა მამა. ის შავრაზმელი იყო, ის სათავეში ედგა თეთრ გვარდიელებს და ათასობით ხოცავდა მუშებსა და გლეხებს, ალექსანდრემ მოჰკლა ის სწორედ იმ დროს, როდესაც მისი (მამის) მეთაურობით უნდა დაეხოცათ რამოდენიმე მუშები და გლეხები, მან ალექსანდრემ მოჰკლა მამა და ამით დიდი სარგებლობა მოუტანა კომუნისტურ პარტიას, მან იხსნა სიკვდილისაგან რამოდენიმე ათასი მშრომელი მუშები და გლეხები. ეს მან გააკეთა სრულიად შეგნებით და ამავე დროს კომუნისტური პარტიის დავალებით, და ამავე დროს მას ასამართლებს საბჭოთა ხელისუფლება, ამხ. სიხარულიძე ამბობს; სად არის ბრალდებლები, რომლებიც პირველად უნდა გამოსულიყო და ბრალი დაედვათ, ასეთი არ ყოფილა და არც უნდა იყოს და თუ იქნება, ეს იქნება არა სწორი მიმართულება რისთვისაც მოითხოვს ამხ. ალექსანდრე, როგორც პატიოსანი პიროვნება ენერგიული მებრძოლი საჩქაროთ იქნეს განთავისუფლებული და გამოეცხადოს უაღრესი მადლობა კომუნისტური პარტიის სახელით, სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად. განაჩენს კითხულობს ამხ. ანდღულაძე. ამხ. ალექსანდრე, როგორც ენერგიული მუშაკი, მან მოკლა მამა კონტრ-რევოლიუციონერი, შავრაზმელი და ამით მან იხსნა დახოცვისაგან ათასობით მუშები და გლეხები, განთავისუფლებულია და გამოეცხადა უაღრესი მადლობა კომუნისტური პარტიის სახელით.

შემდეგ ამავე ძალების მიერ დაიდგა წარმოდგენა „მღვდელი და დიაკვანი“, ერთ მოქმედებათ. ამხ. ეტყობოდათ არ იყვნენ წინ და წინვე მომზადებული რაიც გამოიხატებოდა დამცველების როლში.

სალამო დამთავრდა თერთმეტ საათზე.

ჰალელი.

ქუთ. მესამე ქვეითა მსროლელ ლეგიონის ლიტერატურული წრე.

27 თებერვალს, სამნეო და ცხენოსან ასეულების შეერთებულ კრებაზე ლიტერატურულმა წრებ მოაწყო ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებული იქნა ე. ნინოშვილის მოთხრობის გმირი, ქრისტინე. გასამართლებას დაესწრო კლუბის გამგეობა და ორი ოდე პირი უფდა-პოლიტ შემადგენლობიდან; აქტიურ მონაწილეობას გასამართლებაში, როგორც დამცველის ისე ბრალმდებლის როლში ღებულობდენ არმიელები; ქრისტინეს ბრალს დებდნენ წ. ა.: მარტიროზ კარაკულიანცი, ირაკლი გუცხრიკიძე და იონა ჰელიძე; იცავდნენ: წ. ა. ტარასი შავაძე, თეოფილე ჯანელიძე და ქრისტეფორე დვალი; ბრალდებულის როლში, ქალურათ გამოწყობილი იყო წ. არ. სერგო რამინაშვილი ისონის როლში კი წ. ა. ივანიშვილი; სასამართლოს თავმჯდომარეობდა წ. ა. გიორგი ტატულაშვილი, მდივნობდა ალ. დოლონაძე; არა ოფიციალურ ოპონენტებათ გასამართლებაში გამოვიდნენ, როგორც წითელ-არმიელები, ისე უფ და პოლიტ შემადგენლობიდან, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და გაცხარებული კამათი გამოიწვია წითელ-არმიელებს შორის.

წითელ არმიელებისაგან წინასწარ არჩეულმა ნაფიცმა მსაჯულებმა ქრისტინე გაამართლეს.

სასამართლოს დასასრულ ამხ. ლ. ლოლაძემ მადლობა გადაუხადა, როგორც ასეულის უფროსებს ისე თვით წითელ-არმიელებს, პირველს დისციპლინის დამყარებისათვის და მეორეთ ბეჯითობის გამოჩენისათვის გასამართლების დროს.

ყუბანეიშვილი.

შაბათობა ცალკე საკავშირო ასეულში.

წით. მოლაშქრეები უკვე ამდგარი და პირდაბანილი იყვნენ. როგორც ყოველთვის ისე დღისაც სიხარულის და სიცოცხლის ელფერი დას თამაშებდათ პირისახეზე. აქა-იქ იდგნენ ყმაწვილები, როდესაც ერთმა მათგანმა ხმა მაღლა დაიძახა: „ბიჭებო, დღეს ჩვენს ასეულში არის დანიშნული შაბათობა და უნდა გაიწმინდოს ფეხიადგილი, რადგანაც შიგ დიდი უსუფთაობა არის“-ო, ამის თქმა და მორიგე მეთაურმაც გასძახა წითელ მოლაშქრეებს მეგობრული ბრძანებით და რიხიანი ხმით, რომ ყაზარმიდან ლოგინები გარედ გამოეტანათ და დანიშნულ დღიურებს ყაზარმა გაესუფთავებინათ. წ. მოლაშქრეებმა ამის შესრულების შემდეგ თავ-თავიანთი ლოგინები ყაზარმის ეზოში გამოიტანეს. კიდევ მასხარაობას შეუდგნენ და სიხარულით ელოდენ რვა საათს, რადგანაც იცოდნენ რომ უფ-ადმ-პოლიტშემადგენლობას უნდა უნდა ემუშავათ. აჰა რვა საათი შესრულდა და გამოჩნდნენ უფროსებიც. რომლებიც წ. მოლაშქრეებთან ერთად გაეშურენ სამუშაოდ.

ზოგი ერთი უფ-ადმ. პოლიტ-შემადგენლობა ძლიერ გვიან მოვიდნენ. ზოგს კი სულ არ მიუღია მონაწილეობა მუშაობაში.

ზიზღი მას ვინც დაემალა ამ საერთო მუშაობას. ცოტა საყვედური ვინც დაიგვიანა.

ვაშა მას ვინც შაბათობა დანიშნა ჩვენს ასეულში,.

ვაშა იმ მხედრებს, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშაობაში.

და ვაშა მათ, ვინც მიბაძავს ზემო აღნიშნულ ასეულის საქმეს.

სევდიშვილი.

კომუნის ყვავილები.

(შთაბეჭდილებანი ბავშთა დილაზე.)

16 მარტს, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართა ბავშთა დილა, რომელიც მოაწყო მე-18 შრომის სკოლის მოწაფეთა მშობელთა წრემ და უნდა ითქვას, რომ ეს იყო გამარჯვება საბავშო თეატრის, რომელიც აქამდის არ გვინახავს. აქა სჩანდა მოსიყვარულე და მცოდნე ხელი, როგორც ბავშთა მოყვარულ რეჟ. ტერიშვილისა, ისე მთელი სკოლის მასწავლებლებისა.

პირველ განყოფილებაში ბავშთა გუნდმა შეასრულა ინტერნაციონალი თავის ნაზი, წკრიალა ხმით, რომლის შემდგომ გამოდიან მელო დეკლამაციით და კითხულობენ საკუთარ ლექსებს.

გაისმის ტკბილი ხმა პაწია ბავშებისა—ამ კომუნის ყვავილთა და სიხარულის ცრემლები გვცვივა და ჰფიქრობ: ვის შეეძლო ანუ რომელ ხელისუფლების დროს, თუ არა ეხლა, საბჭოთა ხელისუფლებას დროს და ვის შეუძლიან სიყვარული ბავშთა ისე, როგორც დღეს, როდესაც მთელი ყურადღება მათი აღზრდისაკენაა მიმართული.

თეატრი სავსეა ბავშებით და მათ სიცოცხლით აღსავსე ყიჟინას არა აქვს დასასრული. აქვე არიან მუშები და წითელ-არმიელები, რომელთა სახეზე კითხულობ უნეტარეს განცდებს და აღმაფრენას, რომ უნაყოფოდ არ მიდის ის შრომა რომელსაც ისინი ჰქმნიან როგორც პოლიტიკურ, ის კულტურულ ფრონტზე, რომელსაც უდგანან დღე და ღამ დარაჯად. მეორე განყოფილებაში დაიდგა ამავე სკოლის მასწავლებლის, კატო ბურჯანაძის საბავშო პიესა „ნავთა ზეიმი“, რომლის მუსიკაც მასვე ეკუთვნის.

ნავები, გლეხები, მონადირე, ხის მჭრელი, კურდღლები, დეიდა თამრო, ბავშები, ჯუჯები, (კარლიკები) ფერიები, ფიფქები, ყინვა, თოვლი მოდის... და ყველა ამათ როლებში პაწია ბავშები, ნეტარებით ფრთებ აშლილნი ბუნების წიაღში.

ასრულება შეუდარებელია, რომელიც დიდ მსახიობთ, სახელს შემატებდა.

დასასრულ დაიდგა აპოთეოზი ზამთრისა, რომელიც ელის გაზაფხულს, და გაისმის ინტერნაციონალი.

ყველა ფეხზე დგება და თავს იხსნის ბავშთა ნაზი გრძნობით და მათი აღზრდის წინ.

განა შეიძლება ყველა იმის გარდმოცემა, რაც ამ დილაზე განიცადა მაყურებელმა?..

ჩვენ ვუსურვებთ აედილის მესვეურებს გამარჯვებას, და სხვა სკოლებს კი მიბაძვას.

კარგი იქნებოდა ასეთი დილები ხშირად გამართულიყოს და განსაკუთრებით კი ჩვენი მხედრობისათვის, რომ ენახათ თუ ვის იცავენ ისინი.

გამმართველნი დაგვპირდენ.

ს—ნი

·კავშირული ცხოვრება

ქართულ მსროლელ დივიზიის მთლიან სამხედრო კოოპერატივის კომუჯრედის ღია სხდომა.

დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იყო ამხ. ებრალიძის მოხსენება მთლიან სამხედრო კოოპერატივის ერთი წლის მუშაობის შესახებ. ამხ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საკითხს.

ამხ. ებრალიძე აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა წარსულში მთლიანი სამხედრო კოოპერატივი. ის ძველ გამგეობას მიყავდა გაკოტრების გზაზედ, რის შემდეგ ის გადაყენებულ იქნა. კოოპერატივს ჩაუდგა სათავეში ახალი გამგეობა, რომელსაც მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ვინაიდგან კოოპერატივს არ ქონდა თავისი თანხა დი ნდობა კი დაკარგული ქონდა ყველა ბანკებთან, ძველი გამგეობის მეოხებით, ამის გამო პირველ ხანს ჩვენ გვიხდებოდა, ძნელ პირობებში საქმის წარმოება, რათა მოგვეპოებინა და აღვედგინა ნდობა მთლიან კოოპერატივთან.

ამ ჟამად მთლიან კოოპერატივს აქვს ოთხი უნივერსალური მაღაზია და რვა ნაწილების ერთეულები. ხე-ტყის ქარხანა თავისი მამულით, სადაც რამოდენიმე სული საქონელი ჰყავთ.

ჩემი შეხედულობით ეს ყოველივე შესძლო ახალმა გამგეობამ, ამხ. ებრალიძის თავმჯდომარეობით, ცხადია ასეთი ენერგიული მუშაკები

ღირსია მადლობის, სახალხო საქმეში დაუღალავი და ერთგული მუშაობისთვის, რომელიც თითით საჩვენებელია სხვა სამხედრო სამომხმრებლო სანხედ. კოოპერიტივებისათვის.

მთელ საკავშირო სოციალისტურ საბჭოთა კავშირში, არც ერთი სამხედრო ერთეულს არ აქვს ასეთი ძლიერი კოოპერატივი, როგორც აქვს ქართულ მსროლელ დივიზიას, რისთვისაც საჭიროა ყველა უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელნი მეტი ყურადღებით უცქეროდენ ჩვენს სამხედრო მთლიან კოოპერატივს, რათა შეუწყოთ ხელი მის აღორძინებას. ამხ. წითელ არმიელნო თქვენ ამ დღეებში გიშვებენ სახლში, თქვენ გევალებათ როგორც შეგნებულ მოქალაქეებს შეუწყოთ ხელი გლეხებს სოფლად, ჩაერიოთ საერთო საქმეებში, მოაწყოთ სამომხმარებლო საზოგადოება სამკითხველოები და სხვა კულტურულ და ეკონომიური დარგებში, რომელზედაც თქვენ ხელს შეგიწყობთ ადგილობრივი ხელის უფლება. ამით თქვენ გლეხობას შეუმსუბუქებთ მძიმე პირობებს. თქვენ კარგათ იცით რომ თქვენ არ ყოფილხართ ნიკოლოზის ყაზარმებში, არამედ თქვენ იყავით წითელ სკოლებში, სადაც სწავლობდით და ვითარდებოდით, ამისათვის თქვენი ვალია თქვენი ცოდნა გადასცეთ მეგობარ მუშებს და გლეხებს, და ამცნოთ თუ რა არის საბჭოთა ხელის უფლებებში ყაზარმები, ვინაიდგან ის არ გავს ძველი ჯარის ე. ი. ნიკოლოზის ყაზარმებს, არამედ ის არის წითელი ყაზარმა, სადაც გამართულია სკოლები, ღებულობთ თქვენ კლასიურს, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.

ფ. ქერქაძე.

ცირკულიარული.

ყველა ნაწილების სამხკომებს.

დივიზიის კოოპერატიული სამმართველომ გადასწყვიტა, რათა შარშანდელი მუშაობა კოოპერატიული აღმშენებლობაში იქნეს დამთავრებული შეჯიბრებითი დაჯილდოებით იმ ნაწილების, რომლებმაც მეტი ენერგია და ყურადღება გამოიჩინა ამ დარგში გასულ წელში.

თანახმად სამხკომების და კოოპერატივის ცენტრალური გამგეობის თათბირისა **2** ამ მარტში გადაწყვეტილია იქნეს შეძენილი სამი საჩუქარი, რომლის თანხა გამოიღო საქართველოს კოოპერატივების ცენტრალურმა კავშირმა (ცეკავშირმა) და ევკოგრუზმა.

ზემოაღნიშნულის ჩასატარებლად არჩეულია სპეციალური კომისია, რომელსაც, გარდა ევკოგრუზის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობებისა, სჭირდება სხვა და სხვა ცნობების მიწოდება აღნიშნული განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ცნობების წარმოდგენას ექნება დიდი მნიშვნელობა, იმ მხრივ რომ კომისიას ექნება საშუალება პრაქტიკულად გამოსცადოს თუ რომელი ნაწილი უფრო მომზადებულად და სასურველად შესძლებს თავისი წასული მუშაობის აღრიცხვას.

ვინაიდან ნაწილების შეჯიბრებით დაჯილდოება პირველი გამოცდა არის კოოპერატიული პროპაგანდის ისტორიაში და ამ რიგათ იწვევს დიდი ინტერეს, გევალებათ რათა მეტი ყურადღება მიაქციოთ ზემოაღნიშნული კომისიის მოთხოვნილებათა შესრულებას, სათანადო ცნობების მიწოდებით უკიდურეს შემთხვევაში ნაწილი დაკარგავს უფლებას შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებისას, რისთვის პასუხისმგებელი იქნება ნაწილის სამხედრო კომისარი.

პოლიტ-განყოფილების უფროსის მაგ. **ს. ლომიძე.**

ევკოგრუზის საორგ.-საინსტრ.
განყოფილების გამგე **ვ. ბახტაძე.**

11 მარტი 1924 წ.
ქ. თბილისი.

ახალი ამბები

— **უცხოელთა რეგისტრაცია.** შინაგან ს. ს. კომისარიატი ამჟამათ აწარმოებს თფილისში მცხოვრებ უცხოელთათვის პირადობის მოწმობის გაცემას. დღემდე იანვრიდან რეგისტრაციაში გამოცხადდა 320 უცხოელი.

— **ზაგსისათვის.** შ. ს. ს. კომისარიატმა დაამზადა მოქალაქეობრის მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნები, რომელთა საკმაო რიცხვი დაგზავნილ იქნება რესპუბლიკის მაზრებში და რაიონებში.

— **მუშაობის გასაცნობათ.** მაზრებს დაეგზავნათ ცირკულიარული განკარგულებანი, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ კოოპერატიულ მუშაობის გასაცნობათ გამგზავნებულ კომისიებს.

— **სახელმწიფო უწყებათა აპარატების გამოკვლევისთვის.** ლეჩხუმისა და სენაკის მაზრებში გაემგზავრა საუწყებათა შორისო კომისია აპარატების ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში ხელმძღვანელობისათვის.

— **კომისართა ყრილობა.** ა. კ. მიწადმოქმედების კომისართა ყრილობა დანიშნულია თფილისში 28 მარტს.

— **ბავშთა თავშესაფარისთვის.** ა. კ. ცაკმა საბურთალოზე არსებული რადიო-სადგურის შენობა გადასცა უპატრონო ბავშთა დამხმარე საზოგადოებას.

— **კვირეულები.** სოც. უზრ. კომისარიატის ინიციატივით ჩატარდება გლეხთა კომიტეტების კვირეულები.

— **გლეხკომები მუშაობენ.** ზესტაფონის გლეხკომმა გახსნა ფართეულობის საწყობი, ნავთის, მარილის და სხვა წვრილმანის დუქანი და მოაწყო იაფი სასადილო.

— **ფასების მოწესრიგებისათვის.** ქალაქის აღმასკომმა დაავალა ამხ. ივანოვს შეადგინოს ბაზრის ფასების მომწესრიგებელი კომისია.

— **მათხოვრობის აღკრძალვა.** ქალაქის განმტვირთავ კომისიას აღმასკომმა დაავალა აღკრძალოს ქუჩებში ბრმა და უფეხო ინვალიდებისათვის მათხოვრობა.

— **ბავშთა დასახმარებლათ.** ა. კ. ცაკთან არსებულ უპატრ. ბავშთა დამხმარე კომისიას გადაეცა 1500 მან., ბავშთა დამხმარე საზოგადოებისათვის.

ხელოვნება.

— **ახალი გაზეთი.** ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებამ დაადგინა გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი. პირველი ნომერი გამოვა მარტის ბოლოს.

— **ახალი კინო სურათი.** სახ. კინო მრეწველობა შეუდგა ახალი კინო სურათის „დაკარგული საუნჯე“ გამზადებას.

— **ვ. ფალიაშვილის იუბილე.** ვანო ფალიაშვილის 25 წ. იუბილე გაიმართება აპრილის პირველ რიცხვებში.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა** — მადამ ბატერფლეი.

— **დრამა** — მასკოტ.

— **სახ. სახლი** — რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი** — ახალი პროგრამა.

სასოფლო მეურნეობა.

ნაყრობა და ნაყრის დაბინავება.

გაზაფხულის თბილი დღეები აცოცხლებს ბუნებას.

ყვავილებიც გამოჩნდებიან.

ბუნებასთან ერთად იღვიძებს ფუტკრის ოჯახი და იწყებს მუშაობას. მოღალე ფუტკარი გაექანება მინდორ-ველებს საკვებისათვის, ახალგაზრდა ფუტკარი დაიწყებს უჯრადების შენებას ბარტყების გამოსაჩეკათ და საკვების მოსამარაგებლად, დედა ფუტკარი კი ცდილობს რაც შეიძლება მეტი კვერცხი დასდოს და გაამრავლოს ოჯახის წევრების რაოდენობა.

კვერცხებიდან მრავალი ფუტკარი გამოდის,—ოჯახს ეტყობა ბინის სივიწროვე, რაც აიძულებს მუშა ფუტკარს გააკეთოს სადედე უჯრადები, სადაც დედა ფუტკარი განაყოფიერებულ კვერცხს სდებს.

სადედე უჯრადებიდან იჩეკება მომავალი დედა ფუტკრები.

ეხლა სკაში ახალგაზრდა დედაც არის, ფუტკარიც ბლომად მოიპოვება, ადგილი კი ცოტაა, ფუტკარი აღარ ეტევა, ოჯახი აუცილებლივ უნდა გაიგოს და მართლაც როდესაც ახალგაზრდა დედა ფუტკარი უჯრადში საკმაოდ არის მოზდილი, ძველი დედა თავის ძველ მოღალე ფუტკრებთან ერთად, ერთ თბილ დილას აიყრება, გამოვა სკიდან და შეიკრიფავს თავს იქვე ახლო მყოფ ხის ტოტზე.

იშვიათია თავის ნებით ნაყარი დაბრუნდეს ძველ ბინაზე.

რა აიძულებთ ფუტკრებს მიატოვონ გამართული ბინა და ეძიონ ახალი, გასამართი?

ამ შემთხვევაში თავის გვარის (კლასის) გამრავლების ინსტიკტი მუშაობს. და ფუტკარიც ცდილობს შექმნას რაც შეიძლება მეტი ოჯახები და გამრავლდეს.

როდესაც შეამჩნევთ რომ ფუტკრის ნაყარი თავს იყრის რომელიმე ტოტზე, უნდა მიუკიდოთ სამკუთხიანი ყუთი სიღრმით 4 ვერშოკი, სიგანით 5, სიმაღლით 6. ნაყარი შედის ყუთში და სავსებით მოთავსდება შიგ.

ამ დროისათვის უნდა გაამზადოთ სკა, გაასუფთაოთ, ჩადგათ შიგ 5—7 ხელოვნური ფიჭიანი ჩარჩო.

ნაყარს ფრთხილად ჩამოიღებთ, მოიყვანთ სკასთან და პირდაპირ კოლოფიდან ჩაყრით სკაში კედლის და ჩარჩოების შუა. ჩარჩოებს უნდა გადააფაროთ ტილო.

ფუტკარი აირ დაირევა, მაგრამ ჩოთქით უნდა მიუმარჯოთ და მირეკოთ ჩარჩოებისაკენ.

წინასწარ საფრენი უნდა სავსებით დახუროთ, რომ ფუტკარი გარეთ არ გამოვიდეს.

როდესაც შეამჩნევთ, რომ ფუტკარი შემოეხვია ფიჭას, ბუდეს ზევიდან ტილოს გადააფარებთ, დადგავთ სახურავს და გახსნით საფრენს.

სკას გარეშე დარჩენილი ფუტკარი საფრენიდან შევა და მიეკედლება ნაყარს.

ნაყარი იმ წუთშივე შეუდგება მუშაობას და მეორე დღეს ნახავთ რომ ფიჭას უჯრადები უკვე კეთდება.

ნაყარი კარგია თუ იწონის 7—8 გირვანქას. 4 გირვანქის ნაკლები ნაყარი არ ღირს მოსათავსებლად. ამ გვარი ნაყარი უნდა შეუერთდეს სხვა სუსტ ნაყარს.

ზ—ლი.

მეცნიერება და ტექნიკა

ნავთის გამოყენება ავიაციაში.

თანამედროვე პაეროპლანები ერთობ რთული კონსტრუქციისაა. მაგრამ ეს სირთულე უმეტეს შემთხვევაში მათ მოტორებს მიეწერება. ერთობ ფაქიზი მოპყრობა უნდა ჰაეროპლანების მოტორებს: ამასთანავე ერთად მოტორები დიდ მოთხოვნილებებს აყენებენ. რაც უფრო ძლიერია მოტორი, მით უფრო მსუბუქი უნდა იყოს და საწვავი მასალაც, მსუბუქია საპირო. მოტორი რომლის სიძლიერე აღწევს 1000 ცხენის ძალამდე, მისი სიმძიმე თითეულ ცხენის ძალაზე არ უნდა აღემატებოდეს 17 გირვანქას. ამ პირობების ასასრულებლად კი საჭირო შეიქნა მეტად მსუბუქი და მაგარი ლითონების შემოტანა ავიაციის საამშენებლო საქმეში. ასეთი ლითონები კი არიან საუკეთესო ხარისხის ფოლადი და მსუბუქი ლითონი ე. წ. დურალიუმინი. ამასთანავე ასეთი ფაქიზი კონსტრუქციის მოტორს დასჭირდა მსუბუქი საწვავი მასალაც, ბენზინი, ზეთი და სხვა.

მაგრამ თანამედროვე დიდ მიხწევებთან ერთად ავიაციაში, იქამდეც მიაღწიეს, რომ შესძლეს უფრო ამტანი მოტორის დამზადება და მაინცა და მაინც აღარ არის საჭირო მსუბუქი საწვავი მასალა. უკვე შესაძლებელი იქნება ნავთის, მაზუთის და სხვა საწვავ მასალის გამოყენება ამ მიზნებისათვის. ასეთი მამოძრავებლები საგრძნობ ძალას (მაგალითად 680—300 ცხენის ძალას) ანვითარებენ და ამასთანავე ძლიერ ეკონომიით ხარჯავენ საწვავ მასალასაც. ხსენებულ მამოძრავებლების მუშაობის პროცესი ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი მოტორების მუშაობისაგან. ის თითქმის ისეთია როგორც ჩვეულებრივი „დიზელის“. აი როგორ მუშაობენ ეს მამოძრავებლები: გოდლში (მოტორის ცილინდრი) პორშენი დაწოლას ახდენს ჰაერზე, რომლის ტემპერატურა ამ დაწოლისაგან ისე იწევს, რომ მასში გატარებული ნავთის ჩქერი იმ წამსვე აენთება, რაც ანვითარებს მუშაობას მოტორში.

ამნაირად ნავთის მამოძრავებელს აღარ სჭირდება არც ელექტრონული სანთლები და აღარც მაგნეტო, (მაგნეტო პაწია ელექტრონული მანქანაა, რომელიც იძლევა ელექტრონული ჩქერს მოტორის ცილინდრებში ელექტრონული სანთლების ასანთებად.) რომლებიც აუცილებელი იყო აქამდე მოტორისთვის. ამნაირად მოტორის საერთო კონსტრუქციაც საგრძნობლად გასადავდა, ხოლო თვით მოტორს კი აღარ დასჭირდება ისეთი ფრთხილი და ფაქიზი მოპყრობა, როგორც აქამდე. ერთი დადებითი თვისება აქვს აგრეთვე ნავთის ხმარების შემოღებას ავიაციაში. როგორც ვიცით ბენზინი ერთობ ადვილად ფეთქდება თუ განსაკუთრებით ფრთხილად არ მოეპყარით. ბევრი ჰაეროპლანები გამხდარა ამის მსხვერპლი. ნავთის ხმარების დროს კი, ასეთი მოვლენებისაგან სავსებით უზრუნველყოფილია ჰაეროპლანი.

შ. ხ.

ჩერვონცის კურსი 20 მარტს

1 ჩერ. 12,600,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ,	12,600,000	55 კ.	693,000,000
2კ.	25,200,000	60 კ.	756,000,000
3კ.	37,800,000	65 კ.	819,000,000
4კ.	50,400,000	70 კ.	882,000,000
5კ.	63,000,000	75 კ.	945,000,000
6კ.	75,600,000	80 კ.	1,008,000,000
7კ.	88,200,000	85 კ.	1,071,000,000
8კ.	100,800,000	90 კ.	1,134,000,000
9კ.	113,400,000	1 მ.	1,260,000,000
10კ.	126,000,000	2 მ.	2,520,000,000
15კ.	189,000,000	3 მ.	3,780,000,000
20კ.	252,000,000	4 მ.	5,040,000,000
25კ.	315,000,000	5 მ.	6,300,000,000
30კ.	378,000,000	6 მ.	7,560,000,000
35 კ.	441,000,000	7 მ.	8,820,000,000
40 კ.	504,000,000	8 მ.	10,080,000,000
45 კ.	567,000,000	9 მ.	11,340,000,000
50კ.	630.000.000	10 მ.	12.600.000.000

განცხადება.

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბში **24** მარტიდან გაიხსნება იაფ ფასიანი სასადილო ყველა ქართულ მსროლელ დივიზიის უფ და პოლიტ შემადგენლობისთვის. ფასები ხელმისაწდომია, სასადილოში დაუკრავს პიანინო, მოწყობილია სამკითხველო, შახმატი და სხვა. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ კლუბის კომენდანტთან ყოველ დღე.

გამგეობა.

განცხადება.

ა/წ. 19 მარტს ვერის დაღმართზე მოგზაურობის დროს დავკარგე განცხადება პოლიტგანყოფილების კომუჯრედის სახელზე, ავტო-ბიოგრაფია და ორი შევსებული ანკეტა რეკომენდატორების ხელმოწერილი, მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს რუსთაველის პროსპექტი № 31 პოლიტ-განყოფილება.

ილია შარაშენიძე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.